საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/2065
27/05/2022

2065-21-2-202205271357

ი/მ „თოფიკ გუსეინოვს“
მის: საგარეჯო, სოფ. თულარი, მე–8 ქ. №6
ელ. ფოსტა: musa.qaracop@mail.ru

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №10715 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, სოფ. იორმუღანლოში ნავთობპროდუქტების საცავის (ავტოგასამართი სადგური) მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში მოცემული არ არის და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- დოკუმენტში მოცემული უნდა იქნეს საქმიანობის განხორციელების ადგილის GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატები (shp-ფაილთან ერთად);
- სკრინინგის განცხადებაში დასაზუსტებელია თუ რომელი წლიდან ფუნქციონირებს აღნიშნული ავტოგასამართი სადგური;
- დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს საქმიანობის ფარგლებში უკვე განხორციელებული და დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების შესახებ ინფორმაცია და სკრინინგის განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს ტერიტორიაზე არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი არ არის სალექარში დაგროვებული ნარჩენის შემდგომი მართვის საკითხი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

კვალიფიცირებული ელექტრონული ხელმოწერა/ QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE

თეიმურაზ მთივლიშვილი

სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო